

თავი XXII. უცხოური ენები - წლიური პროგრამები კლასების მიხედვით

მუხლი 85. პირველი უცხოური ენის (ინგლისური ენის) წლიური პროგრამები

პირველი უცხოური ენა (ინგლისური ენა) დაწყებით საფეხურზე

I კლასი

მიმართულება 1. ზეპირი მეტყველება (მოსმენა და ლაპარაკი)	
მისაღწევი შედეგები	I კლასის შეფასების ინდიკატორები
<p><b>I უცხ.დაწყ.(I).1.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული მცირე ზომის ტექსტების მოსმენა/მოსმენა-ყურება და გაგება.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ მოსწავლე იგებს მასწავლებლის მითითებებს;</li> <li>➤ ილუსტრირებულ ტექსტებში ამოიცნობს პერსონაჟებს, კონკრეტულ ინფორმაციას (მაგ., ქმედებებს, ობიექტებს და მათ ნიშან-თვისებებს - ფერს, ზომას).</li> </ul>
<p><b>I უცხ.დაწყ.(I).2.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს სიტყვების, წინადადებებისა და ტექსტების გარკვევით და შესაბამისი ინტონაციისა თუ მახვილების დაცვით წარმოთქმა.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ზეპირად კითხულობს ლექსებს, გათვლებს, ენის გასატეხებს, ასრულებს სიმღერებს;</li> <li>➤ ტექსტის წარმოთქმისას იცავს შესაბამის ინტონაციას, მახვილებს, რიტმულ სეგმენტებს.</li> </ul>
<p><b>I უცხ.დაწყ.(I).3.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობ თემატიკაზე მარტივ ინტერაქციაში მონაწილეობა, ნაცნობი თემატიკის გარშემო საუბარი.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ნასწავლ თემატიკაზე თითო სიტყვით პასუხობს მარტივ კითხვებზე ან რეაგირებს მათზე არავერბალური საშუალებებით (მაგ., ეს ბურთი რა ფერისაა? – წითელი; სად არის მანქანა? – მიუთითებს შესაბამის ნახატს);</li> </ul>
რეკომენდაციები	
<p>აქტივობები შესაძლებელია დაეფუძნოს შემდეგი ტიპის ტექსტებს:</p> <p>ა) სასწავლო მიზნებით შედგენილი მოსასმენი ილუსტრირებული ტექსტები, თემატური მინიდილოგები/მონოლოგები, მარტივი აღწერითი ტექსტი;</p>	

ბ) მულტიმედია ტექსტები: ვიდეოთამაშები ენობრივი კონსტრუქციებისა და ლექსიკური ერთეულების ასათვისებლად, ილუსტრირებული ბარათები, თემატური რესურსები.

**კითხვა-პასუხი შესაძლებელია დაეფუძნოს შემდეგ თემატიკას:**  
ოჯახი, სხეულის ნაწილები, სათამაშოები, ცხოველები, ფერები, ზომა, ტანსაცმელი, ყოველდღიური აქტივობები.

**აქტივობათა ნიმუშები:**

- სიტყვის/მოკლე წინადადების დაკავშირება შესაბამის ილუსტრაციებთან;
- დასახელებული პერსონაჟის, ცხოველის, საგნის დაკავშირება შესაბამის ნახატთან;
- სიტყვის შესტიკულადიით განსახიერება/ დახატვა;
- აღწერილი ნიშან-თვისებების (მაგ., მრგვალი, დიდი, პატარა) მიხედვით შესაბამისი ილუსტრაციის მითითება/შემოხაზვა;
- მითითებული ფერის მიხედვით ნახატების გაფერადება;
- პერსონაჟის, ცხოველის, ქმედების განსახიერება;
- ლექსის/სიმღერის წარმოთქმა არავერბალური მეტყველების (ინტონაციის, მიმიკა- შესტიკულადიის, რიტმული მოძრაობების) მისადაგებით;
- ლექსის თქმა ტემბრისა და ტემპის ცვლით (ხმის დაბოხება-დაწვრილებით, ნელი/ჩქარი ტემპით, ჩურჩულით/ხმამაღლა);
- მასწავლებლის მიერ წარმოთქმულ უცხოური ენისათვის დამახასიათებელ ბგერების გამეორება და სხვ.

**მიმართულება 2. წერთი მეტყველება (კითხვა და წერა)**

მისაღწევი შედეგები	I კლასის შეფასების ინდიკატორები
<p><b>Iუცხ.დაწყ.(I).4.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს სიტყვების, წინადადებების გაშიფრვა; სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის ტექსტების გაშიფრა და გაგება.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➢ პირდაპირი გზით (გაშიფრვის გარეშე) ამოიცნობს ხშირად გამოყენებული სიტყვების ორთოგრაფიულ ხატს (<i>სიტყვის ორთოგრაფიული ხატის ამოცნობა - მთლიანი სიტყვის ამოცნობა დამარცვლა-დანაწევრების გარეშე, ე.წ. პირდაპირი გზით. როცა მოსწავლეს მეხსიერებაში აქვს კონკრეტული სიტყვის ორთოგრაფიული ხატი, ანუ მასში მოცემულ ასოთა მოწესრიგებული თანამიმდევრობა, იგი დანახვისთანავე აკავშირებს ამ ხატს სიტყვის მნიშვნელობასთან.</i>)</li> </ul>
<p><b>Iუცხ.დაწყ.(I).5.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს კალიგრაფიული ნორმების დაცვა. მოდელის მიხედვით სხვადასხვა ტიპის მარტივი ტექსტების შედგენა.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➢ „გადახატავს“ სიტყვებს, აკვირდება და სხვადასხვა საშუალებით გამოსახავს ასოთა მოხაზულობას.</li> </ul>

**რეკომენდაციები**

**აქტივობები შესაძლებელია დაეფუძნოს შემდეგი ტიპის ტექსტებს:**

- ა) ადაპტირებული კომიქსი, ილუსტრირებული მოთხრობა/ზღაპარი;
- ბ) სასწავლო მიზნებით შედგენილი ტექსტები.

**აქტივობათა ნიმუშები:**

- სურათების შესაბამის ნაბეჭდ სიტყვებთან დაკავშირება;
- საბავშვო წიგნების ან სახელმძღვანელოების ტექსტებში აზრების, წინადადებების დასაწყისისა და დასასრულის მოძიება და მითითება;
- აზრების წინადადებების, წინადადებაში სიტყვების რაოდენობის დათვლა;
- კონკრეტული მითითების მიხედვით, შესაბამის აზრებში წინადადებისა თუ სიტყვის პოვნა და მითითება (მაგ., იპოვე და მაჩვენე მეორე აზრებში მოკლე წინადადება; მაჩვენე ამ წინადადებაში ყველაზე გრძელი სიტყვა და სხვ.)
- საკუთარი სახელის გადახატვა;
- ხელის მოძრაობით, ზონრით, პლასტილინით ნაცნობი ასოს ფორმის გამოხატვა;
- დაფიდან ნაცნობი სიტყვის გადმოხატვა და შესაბამისი ილუსტრაციის მიხატვა და სხვ.

**მიმართულება 3. ინტერკულტურა**

მისაღწევი შედეგები	I კლასის შეფასების ინდიკატორები
<b>I უცხ.დაწყ.(I).6.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ილუსტრაციებსა და ტექსტებში საკუთარი და უცხო კულტურის რეალიების ამოცნობა, სოციოკულტურული კონტექსტების ერთმანეთთან შედარება.	<b>მოსწავლე:</b> <ul style="list-style-type: none"><li>➤ სახელმძღვანელოსა თუ საბავშვო მედია/მულტიმედიურ ტექსტებში ამოიცნობს კულტურის, სოციო-კულტურის რეალიებს (ილუსტრაციებში ასახული ზღაპრის პერსონაჟებს);</li></ul>
<b>რეკომენდაციები</b>	
აქტივობები შესაძლებელია დაეფუძნოს შემდეგი ტიპის ტექსტებს: აუდიო-ვიდეო სასწავლო რესურსები, ადაპტირებული კომიქსები, ანიმაციური ფილმები, ილუსტრირებული საბავშვო წიგნები.	

**მიმართულება 4. სწავლის სწავლა**

მისაღწევი შედეგები	I კლასის შეფასების ინდიკატორები
<b>I უცხ.დაწყ.(I).7.</b> მოსწავლემ მასწავლებლის დახმარებით უნდა შეძლოს სწავლის პროცესზე დაფიქრება, საკუთარი წინსვლის ხელშეწყობა და სწავლის პროცესის წარმართვასა და გაუმჯობესებაში აქტიურად მონაწილეობა.	<b>მოსწავლე:</b> <ul style="list-style-type: none"><li>➤ ზრუნავს საჭირო ნივთების მოტანაზე, სასწავლო ნივთების მოწესრიგებაზე, იწერს დავალებებს, ფიქრობს, რა თანამიმდევრობით შეასრულოს დავალება;</li></ul>

## II კლასი

მიმართულება 1. ზეპირი მეტყველება (მოსმენა და ლაპარაკი)	
მისაღწევი შედეგები	II კლასის შეფასების ინდიკატორები
<p><b>Iუცხ.დაწყ.(I).1.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული მცირე ზომის ტექსტების მოსმენა/მოსმენა-ყურება და გაგება</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ იგებს მასწავლებლის მითითებებსა და მარტივ ინსტრუქციებს;</li> <li>➤ ამოიცნობს პერსონაჟებს, მათ ემოციებსა და რეპლიკებს;</li> <li>➤ ამოიცნობს პერსონაჟებსა და ქმედებებს, ობიექტებს და მათ ნიშან-თვისებებს;</li> <li>➤ ამოიცნობს საგანთა ადგილმდებარეობას (მაგ., მაგიდაზე, ჩანთაში, სკამის ქვეშ);</li> <li>➤ ამოიცნობს მოქმედებათა თანამიმდევრობას.</li> </ul>
<p><b>Iუცხ.დაწყ.(I).2.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს სიტყვების, წინადადებებისა და ტექსტების გარკვევით და შესაბამისი ინტონაციისა თუ მახვილების დაცვით წარმოთქმა;</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ზეპირად კითხულობს ლექსებს, გათვლებს, ენის გასატეხებს, ასრულებს სიმღერებს;</li> <li>➤ ტექსტის წარმოთქმისას იცავს შესაბამის ინტონაციას, მახვილებს, რიტმულ სეგმენტებს.</li> </ul>
<p><b>Iუცხ.დაწყ.(I).3.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობ თემატიკაზე მარტივ ინტერაქციაში მონაწილეობა, ნაცნობი თემატიკის გარშემო საუბარი.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ნასწავლ თემატიკაზე მოკლედ პასუხობს კითხვებს ან რეაგირებს მათზე არავერბალური საშუალებებით (მაგ., საკუთარი თავის შესახებ - რა აქვს, რა ჰყავს, რა ჰქვია, რას აკეთებს, რა უნდა და სხვა);</li> <li>➤ გამომუშავებული აქვს კითხვისათვის აუცილებელი ფონოლოგიური უნარები: სიტყვებს შლის მარცვლებად, მარცვლებს ფონემებად/ბგერებად, დაშლილ ფონემებს ამთლიანებს სიტყვებად ( სიტყვის ანალიზი და სინთეზი).</li> </ul>
<p><b>Iუცხ.დაწყ.(I).4.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ზეპირი მეტყველების აქტივობების შესრულებისას სტრატეგიების გააზრებულად გამოყენება.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ჩანაწერის ან უშუალო მეტყველების მოსმენისას, არავერბალურ ელემენტებზე (მაგ., ხმის ტემბრზე, სხვადასხვა ტიპის ხმაურზე, ინტონაციაზე, მიმიკა-ჟესტიკულაციაზე) დაყრდნობით ცდილობს უცნობი სიტყვების, გამოთქმების დამოუკიდებლად ამოცნობას.</li> </ul>
რეკომენდაციები	
<p><b>აქტივობები შესაძლებელია დაეფუძნოს შემდეგი ტიპის ტექსტებს:</b></p> <p>ა) სასწავლო მიზნებით შედგენილი მოსასმენი ტექსტები, რომლებსაც ილუსტრაციებიც ახლავს: თემატური დიალოგები/მონოლოგები, მარტივი ამბავი, მარტივი აღწერითი ტექსტი, მარტივი ინსტრუქცია.</p> <p>ბ) მულტიმედიური ტექსტები: ვიდეოთამაშები ენობრივი კონსტრუქციებისა და ლექსიკური ერთეულების ასათვისებლად, ანიმაციური ფილმი, რეკლამა.</p>	

გ) მხატვრული ლიტერატურა: ლექსები, გათვლები, ენის გასატეხები, სიმღერები;  
 დ) სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტები - თემატური დიალოგები/მონოლოგები;  
 ე) მულტიმედია ტექსტები: საბავშვო სპექტაკლი.

**კითხვა-პასუხი შესაძლებელია დაეფუძნოს შემდეგ თემატიკას:**  
 პირადი მონაცემები, სათამაშოები, ცხოველთა სამყარო, ფერები, ზომა, ოჯახი, სხეულის ნაწილები, ტანსაცმელი, ქალაქი, სოფელი; წელიწადის დროები, დღე და ღამე, ყოველდღიური საქმიანობა, ფერი, ზომა, ფორმა, რაოდენობა.

**აქტივობათა ნიმუშები:**

- საგნების მოთავსება მასწავლებლის მიერ ნაკარნახევ ადგილზე;
- დამალული საგნის პოვნა მითითების შესაბამისად;
- მოქმედებათა გამომხატველი ილუსტრაციების დანომვრა სწორი თანამიმდევრობით;
- რეპლიკების დაკავშირება შესაბამის ილუსტრაციებთან;
- დასახელებული პერსონაჟის, ცხოველის, საგნის დაკავშირება შესაბამის ნახატთან;
- სიტყვის ჟესტიკულაციით განსახიერება/ დახატვა;
- დასახელებული პერსონაჟის, ცხოველის, ქმედების განსახიერება;
- სიტყვაში მარცვლების, ფონემების რაოდენობების ამოცნობა;
- იმ სიტყვების ამოცნობა, რომლებშიც შედის წინასწარ მითითებული ბგერა/მარცვალი;
- სიტყვაში მითითებული მარცვლის ადგილმდებარეობის (დასაწყისში, შუაში, ბოლოში) ამოცნობა;
- სურათებით წარმოდგენილ ან მასწავლებლის მიერ ჩამოთვლილ სიტყვებში იმ სიტყვების ამოცნობა, რომლებიც იწყება/მთავრდება წინასწარ მითითებული ბგერით.
- სურათებით წარმოდგენილ ან მასწავლებლის მიერ ჩამოთვლილი სიტყვების დაჯგუფება თავკიდურა ბგერის მიხედვით;
- მოსმენილ მარტივ წინადადებაში სიტყვების გამოყოფა და მათი რაოდენობის ამოცნობა და სხვ.

<b>მიმართულება 2. წერთი მეტყველება (კითხვა და წერა)</b>	
<b>მისაღწევი შედეგები</b>	<b>II კლასის შეფასების ინდიკატორები</b>
<p><b>Iუცხ.დაწყ.(I).5.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს სიტყვების, წინადადებების გაშიფრვა; სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის ტექსტების გაშიფრა და გაგება.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ პირდაპირი გზით (გაშიფრვის გარეშე) ამოიცნობს ხშირად გამოყენებული სიტყვების ორთოგრაფიულ ხატს (<i>მთლიანი სიტყვის ამოცნობა დამარცვლა-დანაწევრების გარეშე, ე.წ. პირდაპირი გზით. როცა მოსწავლეს მეხსიერებაში აქვს კონკრეტული სიტყვის ორთოგრაფიული ხატი, ანუ მასში მოცემულ ასოთა მოწესრიგებული თანამიმდევრობა, იგი დანახვისთანავე აკავშირებს ამ ხატს სიტყვის მნიშვნელობასთან</i>);</li> <li>➤ სიტყვებში გამოანაწევრებს ნასწავლ ასოს/ასოთშენაერთს;</li> <li>➤ იგებს მიმართებას ბგერასა და ასოს შორის, ფონემასა და გრაფემას შორის;</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ ხმამაღლა (დამარცვლით ან მთლიანი სიტყვებით) კითხულობს ნაცნობ სიტყვებს;</li> <li>➤ ნაცნობ სიტყვებსა და ილუსტრაციებზე დაყრდნობით ამოიცნობს მიკროტექსტის ზოგად შინაარსს;</li> <li>➤ ამოიცნობს კონკრეტულ დეტალებს.</li> <li>➤ ავლენს წიგნსა და ტექსტზე მუშაობის ელემენტარულ ჩვევებს (ამოიცნობს უცხოურენოვანი ტექსტების სტრუქტურულ ერთეულებს: სათაურს, ტექსტს, აბზაცს, სტრიქონს, წინადადებას, სიტყვას, ასოს; განარჩევს ტექსტის სიტყვიერ და არასიტყვიერ ნაწილებს).</li> </ul>
<p><b>Iუცხ.დაწყ.(I).6.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს კალიგრაფიული ნორმების დაცვა; მოდელის მიხედვით სხვადასხვა ტიპის მარტივი ტექსტების შედგენა.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ „გადახატავს“ სიტყვებს;</li> <li>➤ ასოს მოხაზვის მიმართულების დაცვით გამოწერს ნასწავლ ასოებს (<i>საანბანო პერიოდი მესამე კლასში დასრულდება</i>) და ნასწავლი ასოებისაგან შედგენილ სიტყვებს.</li> </ul>
<p><b>Iუცხ.დაწყ.(I).7.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს წერითი მეტყველების აქტივობის შესრულებისას სტრატეგიების გააზრებულად გამოყენება.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ სტრუქტურული ორგანიზების თავისებურებებზე დაყრდნობით ამოიცნობს ტექსტის ტიპს;</li> <li>➤ სიტყვების წაკითხვისას ამოიცნობს ნაცნობ ასოთშენაერთებს.</li> </ul>
<b>რეკომენდაციები</b>	
<p><b>აქტივობები შესაძლებელია დაეფუძნოს შემდეგი ტიპის ტექსტებს:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ პრაგმატული ტექსტები: აბრა, სია, კატალოგი;</li> <li>➤ დიდაქტიზებული ტექსტები: მინიდილოგები, აღწერითი ტექსტები;</li> <li>➤ ვიდეოთამაშები სიტყვათა წაკითხვა-ამოცნობაზე.</li> <li>➤ მხატვრული ლიტერატურა: ლექსები, გათვლები, ენის გასატეხები, სიმღერები;</li> <li>➤ სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტები - თემატური დიალოგები/მონოლოგები;</li> <li>➤ მულტიმედიური ტექსტები: საბავშვო სპექტაკლი.</li> </ul>	
<p><b>აქტივობათა ნიმუშები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ სურათების შესაბამის ნაბეჭდ სიტყვებთან დაკავშირება;</li> <li>➤ სიტყვათა ჩამონათვალში დასახელებული ან სურათზე ასახული სიტყვის პოვნა;</li> <li>➤ ასოთშენაერთების მოძიება და შემოხაზვა სიტყვათა ჩამონათვალში;</li> <li>➤ სიტყვის შემადგენელი ასოებისა და ბგერების რაოდენობის ერთმანეთთან შედარება და სათანადო დასკვნის გამოტანა (მაგ., მეტი ასოა და ნაკლები ბგერა იმიტომ, რომ ერთი ასო არ იკითხება, ან ორი ასო ერთ ბგერად წარმოითქმის);</li> <li>➤ დამახსოვრებულ სიტყვებზე დაყრდნობით სხვა სიტყვების გაანალიზება, მათში ანალოგიური ასოების/ასოთშენაერთების ამოცნობა და შესაბამის ბგერებთან დაკავშირება.</li> <li>➤ პრაგმატული ტექსტების - აბრის, სიის და კატალოგის შედარება და ამოცნობა სტრუქტურული ორგანიზების თავისებურებებზე დაყრდნობით, თითოეული მათგანის დანიშნულების დასახელება;</li> <li>➤ ნახატის დასათაურება;</li> <li>➤ ნასწავლი ასოებით მოძრავი ანბანით სიტყვების შედგენა;</li> </ul>	

- გამოსაწერი ასოს ზედა/ქვედა/შუა ნაწილების აღწერა (მაგ., სად არის სწორი ხაზი, რგოლი, რკალი, საით მრგვალდება რკალი, რამდენი რკალია და ა.შ.).

მიმართულება 3. ინტერკულტურა	
მისაღწევი შედეგები	II კლასის შეფასების ინდიკატორები
<p><b>Iუცხ.დაწყ.(I).8.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ილუსტრაციებსა და ტექსტებში საკუთარი და უცხო კულტურის რეალიების ამოცნობა, სოციოკულტურულ კონტექსტების ერთმანეთთან შედარება.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ადარებს მშობლიურთან და პოულობს მათ შორის მსგავსებებსა და განსხვავებებს (მაგ., უცხოურ ენაზე და მშობლიურ ენაზე ცხოველთა ხმაბაძვითი სიტყვები, პერსონაჟებისა და საკუთარი სახელები, კნინობითი ფორმები).</li> <li>➤ სახელმძღვანელოსა თუ საბავშვო მედია/მულტიმედიურ ტექსტებში ამოიცნობს კულტურის, სოციო-კულტურის რეალიებს (ილუსტრაციებში ასახული დღესასწაულის ატრიბუტიკას, კერძებს), ადარებს მშობლიურთან და პოულობს მათ შორის მსგავსებებსა და განსხვავებებს.</li> </ul>
<b>რეკომენდაციები</b>	
<p><b>აქტივობები შესაძლებელია დაეფუძნოს შემდეგი ტიპის ტექსტებს:</b>  აუდიო-ვიდეო სასწავლო რესურსები, ადაპტირებული კომიქსები, ანიმაციური ფილმები, ილუსტრირებული წიგნები.</p>	

მიმართულება 4. სწავლის სწავლა	
მისაღწევი შედეგები	II კლასის შეფასების ინდიკატორები
<p><b>Iუცხ.დაწყ.(I).9.</b> მოსწავლემ მასწავლებლის დახმარებით უნდა შეძლოს სწავლის პროცესზე დაფიქრება, საკუთარი წინსვლის ხელშეწყობა და სწავლის პროცესის წარმართვასა და გაუმჯობესებაში აქტიურად მონაწილეობა.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ზრუნავს საჭირო ნივთების მოტანაზე, სასწავლო ნივთების მოწესრიგებაზე, იწერს დავალებებს, ფიქრობს, რა თანამიმდევრობით შეასრულოს დავალება.</li> <li>➤ აფასებს სწავლის პროცესს: ამჩნევს, რაში აქვს წინსვლა და აღწერს/ასახელებს მას;</li> <li>➤ წინსვლის ამსახველ მასალას ინახავს პორტფოლიოში (მაგ, ადრეულ და გვიანდელ ნაწერს, სადაც ჩანს, როგორ გააუმჯობესა ასოების, სიტყვების წერა; ძველი და ახალი აუდიო ან ვიდეოჩანაწერი, საიდანაც ჩანს, თუ როგორ გააუმჯობესა გამოთქმა, ან რაიმე ლექსის თქმა);</li> </ul>

<p><b>Iუცხ.დაწყ.(I).10.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს სწავლის ხელშემწყობი სტრატეგიებისა და სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო რესურსების (ბეჭდვითი და მულტიმედიური რესურსების, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების) გააზრებულად გამოყენება.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ მოდელის მიხედვით ქმნის ოპერატიულ რესურსებს და იყენებს მათ (მაგ., მარტივ სქემებს, ილუსტრირებულ ლექსიკონს, ილუსტრირებულ ანბანს და სხვა);</li> <li>➤ იგებს და იყენებს სახელმძღვანელოს რესურსებს (ილუსტრაციებს, ლექსიკონს, სარჩევს, ლოგოებს, სამოდელო ნიმუშებს).</li> </ul>
---	--



### III კლასი

მიმართულება 1. ზეპირი მეტყველება (მოსმენა და ლაპარაკი)	
მისაღწევი შედეგები	III კლასის შეფასების ინდიკატორები
<p><b>Iუცხ.დაწყ.(I).1.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული მცირე ზომის ტექსტების მოსმენა/მოსმენა-ყურება და გაგება.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ამოიცნობს სასაუბრო თემას;</li> <li>➤ ამოიცნობს პერსონაჟებს, მათ ემოციებსა და რეპლიკებს;</li> <li>➤ ამოიცნობს კონკრეტულ ინფორმაციას (პერსონაჟთა გარეგნობას, ობიექტების ნიშან-თვისებებს);</li> <li>➤ ამოიცნობს საგანთა ადგილმდებარეობას (მაგ., წინ/უკან/გვერდით; მაღლა/დაბლა; ახლოს/შორს);</li> <li>➤ ამოიცნობს მოქმედებათა თანამიმდევრობას.</li> </ul>
<p><b>Iუცხ.დაწყ.(I).2.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს სიტყვების, წინადადებებისა და ტექსტების გარკვევით და შესაბამისი ინტონაციისა თუ მახვილების დაცვით წარმოთქმა.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ზეპირად გაითამაშებს დიალოგებს, სცენებს;</li> <li>➤ ზეპირად კითხულობს ლექსებს, გათვლებს, ენის გასატეხებს, ასრულებს სიმღერებს;</li> <li>➤ ტექსტების შინაარსს ადეკვატურად უსადაგებს არავერბალურ მეტყველებას.</li> </ul>
<p><b>Iუცხ.დაწყ.(I).3.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობ თემატიკაზე მარტივ ინტერაქციაში მონაწილეობა, ნაცნობი თემატიკის გარშემო საუბარი.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ პასუხობს კითხვებს კონკრეტულ საკლასო სიტუაციასთან დაკავშირებით (მაგ., დაასრულე? დიახ/არა);</li> <li>➤ პასუხობს კითხვებს ნასწავლ თემატიკაზე;</li> <li>➤ აღწერს სურათს.</li> </ul>
<p><b>Iუცხ.დაწყ.(I).4.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ზეპირი მეტყველების აქტივობების შესრულებისას სტრატეგიების გააზრებულად გამოყენება.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ჩანაწერის ან უშუალო მეტყველების მოსმენისას, არავერბალურ ელემენტებზე (მაგ., ხმის ტემბრზე, სხვადასხვა ტიპის ხმაურზე, ინტონაციაზე, მიმიკა-ჟესტიკულაციაზე) დაყრდნობით ცდილობს უცნობი სიტყვების, გამოთქმების დამოუკიდებლად ამოცნობას.</li> </ul>
რეკომენდაციები	
<p><b>აქტივობები შესაძლებელია დაეფუძნოს შემდეგი ტიპის ტექსტებს:</b></p> <p>ა) სასწავლო მიზნებით შედგენილი მოსასმენი ტექსტები, რომლებსაც ილუსტრაციებიც ახლავს: თემატური დიალოგები/მონოლოგები, მარტივი ამბავი, ინსტრუქცია;</p> <p>ბ) ადაპტირებული ილუსტრირებული ზღაპარი;</p> <p>გ) მულტიმედიური ტექსტები: ვიდეო თამაშები ენობრივი კონსტრუქციებისა და ლექსიკური ერთეულების ასათვისებლად, ანიმაციური ფილმი, რეკლამა.</p>	
<p><b>ინტერაქცია შესაძლებელია დაეფუძნოს შემდეგ თემატიკას:</b></p> <p>ოჯახის წევრები, ბუნება/ბუნების მოვლენები, ფერები, ზომა, სხეულის ნაწილები, ტანსაცმელი, ქალაქი, სოფელი; წელიწადის დროები, ყოველდღიური საქმიანობა, ფერი, ზომა, ფორმა, რაოდენობა; საკლასო ოთახი; სასკოლო ნივთები.</p>	
<p><b>აქტივობათა ნიმუშები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ საგნების მოთავსება მასწავლებლის მიერ ნაკარნახევ ადგილზე;</li> <li>➤ დამალული საგნის პოვნა მითითებაზე დაყრდნობით;</li> </ul>	

- მოქმედებათა გამომხატველი ილუსტრაციების დანომვრა სწორი თანამიმდევრობით;
- ალწერილი ნიშან-თვისებების (მაგ., გრძელი/მოკლე, სამკუთხა/ოთხკუთხა) მიხედვით შესაბამისი ილუსტრაციის მითითება/შემოხაზვა;
- ტექსტის მიხედვით ნახატის შექმნა/გაფერადება/დასრულება;
- რეკლამის დაკავშირება შესაბამის ობიექტთან;
- თანაკლასელებთან/ მეწყვილესთან შეჯობრი; ენის გასატეხის/გათვლის სწრაფად და გამართულად წარმოთქმაში;
- სასკოლო ჩანთის ჩალაგება (ნივთების დასახელება თანამიმდევრობით) და ქმედებათა გასიტყვება: "ჩანთაში ჩავდე წიგნი, რვეული, ფანქარი...";
- მითითებული ემოციის განსახიერება: "გაბრაზებული", "მხიარული", "მოწყენილი...";
- ლექსის ან სიმღერის გამეორება რიტმული მოძრაობებით, ტემპისა და ტემბრის ცვლით და სხვ.

**მიმართულება 2. წერითი მეტყველება (კითხვა და წერა)**

მისაღწევი შედეგები	III კლასის შეფასების ინდიკატორები
<p><b>Iუცხ.დაწყ.(I).5.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს სიტყვების, წინადადებების გაშიფრვა; სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის ტექსტების გაშიფვრა და გაგება.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ამოიცნობს ყველა მთავრულ და არამთავრულ ასოს;</li> <li>➤ შიფრავს და ხმამაღლა კითხულობს ნაცნობ სიტყვებს და ნაცნობი სიტყვებისგან შემდგარ მოკლე წინადადებებს;</li> <li>➤ იგებს ზოგად შინაარსს;</li> <li>➤ მოიძიებს კონკრეტულ ინფორმაციას პრაგმატულ ტექსტებში;</li> <li>➤ ამოიცნობს ფაქტობრივ ინფორმაციას (რა/ვინ, როგორი, რამდენი).</li> </ul>
<p><b>Iუცხ.დაწყ.(I).6.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს კალიგრაფიული ნორმების დაცვა; მოდელის მიხედვით სხვადასხვა ტიპის მარტივი ტექსტების შედგენა.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ გამოწერს ანბანის ყველა მთავრულ და არამთავრულ ასოს;</li> <li>➤ გამოწერს სიტყვებს, წინადადებებს;</li> <li>➤ შეარჩევს სათანადო ლექსიკას, შესიტყვებებსა და გამოთქმებს;</li> <li>➤ სათანადოდ სვამს სასვეს ნიშნებს;</li> <li>➤ ადგენს წარწერებს ილუსტრაციებისთვის.</li> </ul>
<p><b>Iუცხ.დაწყ.(I).7.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს წერითი მეტყველების აქტივობის შესრულებისას სტრატეგიების გააზრებულად გამოყენება.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ამოიცნობს ტექსტის ტიპს სტრუქტურული თავისებურების მიხედვით.</li> <li>➤ მშობლიურ ენაზე ალწერს, რა გზით მოახერხა ამა თუ იმ საკითხავ აქტივობაში დასმული ამოცანის გადაჭრა;</li> <li>➤ ადარებს სხვების მიერ შერჩეულ ხერხს და გამოაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რომელი მიდგომა იყო უფრო მისადაგებული/ეფექტური და რატომ.</li> </ul>

**რეკომენდაციები**

- აქტივობები შესაძლებელია დაეფუძნოს შემდეგი ტიპის ტექსტებს:**
- ა) ლექსები, ენის გასატეხები;
  - ბ) პრაგმატული ტექსტები: აბრა, სია, კატალოგი, მისალოცი ბარათი;
  - გ) დიდაქტიზებული ტექსტები: დიალოგი, ამბავი; ალწერითი ტექსტი (მაგ., ოთახის ალწერა, ოჯახის წევრების ალწერა);

<p>დ) მარტივი შემეცნებითი ტექსტი (მაგ., ცხოველის სხეულის ნაწილებისა და ქცევების აღწერა);  ე) ადაპტირებული კომიქსები.</p>
<p><b>აქტივობათა ნიმუშები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ტექსტში ნაცნობი სიტყვების მოძიება წინასწარ მიცემული ინსტრუქციის მიხედვით (მაგ., პერსონაჟთა სახელები, სათამაშოების ან ცხოველების აღმნიშვნელი სიტყვები და ა.შ.);</li> <li>➤ ტექსტში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით კონკრეტული ქმედების შესრულება (ნახატის დასურათება, შესატყვისი ილუსტრაციის პოვნა, ცხრილის შევსება, სურათების დანომვრა და მისთ.);</li> <li>➤ მისალოცი/მოსაწვევი ბარათების მომზადება წარწერებითა და ნახატებით;</li> <li>➤ სხვადასხვა დანიშნულების სიის შედგენა (მაგ. გუნდის წევრების, საყიდლების, არდადეგებზე წასაღები ნივთების, კერძის ინგრედიენტების და სხვ.);</li> <li>➤ სხვადასხვა თემაზე (მაგ. „ჩემი ოჯახი“) ნახატებით/ფოტოებით და მათი აღმწერი წარწერებით გაფორმებული ტექსტის შექმნა. ამ ტექსტში განვლილი მასალის შესაბამისად შეიძლება სხვადასხვა ასპექტის წამოწევა, მაგ., გარეგნობა, პროფესია/საქმიანობა, ჩაცმულობა და სხვ. ამავე ტიპის აქტივობა შეიძლება გაკეთდეს თემებზე „ჩემი ეზო“, „ჩემი საყვარელი ნივთი“, „ჩემი სახლი“, „ჩემი ოთახი“, „ჩემი ოთხფეხა მეგობარი“ და სხვ.</li> </ul>

<b>მიმართულება 3. ინტერკულტურა</b>	
<b>მისაღწევი შედეგები</b>	<b>III კლასის შეფასების ინდიკატორები</b>
<p><b>Iუცხ.დაწყ.(I).8.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ილუსტრაციებსა და ტექსტებში საკუთარი და უცხო კულტურის რეალიების ამოცნობა, სოციოკულტურული კონტექსტების ერთმანეთთან შედარება.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ სახელმძღვანელოსა თუ საბავშვო მედია/მულტიმედიურ ტექსტებში ამოიცნობს კულტურის, სოციო-კულტურის რეალიებს;</li> <li>➤ შედარებისას პოულობს მათ შორის მსგავსებებსა და განსხვავებებს.</li> </ul>
<b>რეკომენდაციები</b>	
<p><b>აქტივობები შესაძლებელია დაეფუძნოს შემდეგი ტიპის ტექსტებს:</b>  აუდიო-ვიდეო სასწავლო რესურსები, ადაპტირებული კომიქსები, ანიმაციური ფილმები; ილუსტრირებული საბავშვო წიგნები.</p>	
<p><b>ინტერაქცია შესაძლებელია დაეფუძნოს შემდეგ თემატიკას:</b></p> <p>დედაქალაქი და მისი რამდენიმე ღირსშესანიშნაობა, ტრადიციული ზღაპრის პერსონაჟები, მათი სახელები, სკოლის შენობა, სასკოლო საგნები და სხვ.</p>	

<b>მიმართულება 4. სწავლის სწავლა</b>	
<b>მისაღწევი შედეგები</b>	<b>შეფასების ინდიკატორები</b>
<p><b>Iუცხ.დაწყ.(I).9.</b> მოსწავლემ მასწავლებლის დახმარებით უნდა შეძლოს სწავლის პროცესზე დაფიქრება, საკუთარი წინსვლის ხელშეწყობა და სწავლის პროცესის</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ აფასებს სწავლის პროცესს: ავსებს ასაკის შესაბამის შეფასების სქემებს;</li> <li>➤ ამჩნევს, რაში აქვს წინსვლა და აღწერს/ასახელებს მას;</li> <li>➤ წინსვლის ამსახველ მასალას ინახავს პორტფოლიოში (მაგ, გამოწერილი წინადადებები; ორი ნამუშევარი, რომელშიც</li> </ul>

<p>წარმართვასა და გაუმჯობესებაში აქტიურად მონაწილეობა.</p>	<p>თვალსაჩინოდ აისახება წინსვლა; ადრეული და გვიანდელი შეფასების სქემები, ვიდეო და აუდიო ჩანაწერები);</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ აცნობიერებს და ასახელებს სისუსტეებს და მიუთითებს გამოსწორების შესაძლო გზებს (მაგ. როგორ მოიქცეს, რომ აღარ დარჩეს შინ სასწავლო ნივთები; როგორი ხერხით დაიმახსოვროს ლექსიკური ერთეულები).</li> </ul>
<p><b>Iუცხ.დაწყ.(I).10.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს სწავლის ხელშემწყობი სტრატეგიებისა და სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო რესურსების (ბეჭდვითი და მულტიმედიური რესურსების, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების) გააზრებულად გამოყენება.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ქმნის ოპერატიულ რესურსებს და იყენებს მათ (მაგ., ლოტოს, მარტივ სქემებს, ილუსტრირებულ ლექსიკონს, ილუსტრირებულ ანბანს, ყუთებს ინფორმაციის, მასალის დახარისხებისათვის და სხვა);</li> <li>➤ ეფექტიანად იყენებს სახელმძღვანელოს რესურსებს (ილუსტრაციებს, ლექსიკონს, სარჩევს, ლოგოებს, სამოდელო ნიმუშებს);</li> <li>➤ მოიძიებს ინფორმაციას/სასწავლო მასალას ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) მეშვეობით.</li> </ul>

## IV კლასი

მიმართულება 1. ზეპირი მეტყველება (მოსმენა და ლაპარაკი)	
მისაღწევი შედეგები:	IV კლასის შეფასების ინდიკატორები:
<p><b>Iუცხ.დაწყ.(I).1.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრულ მცირე ზომის ტექსტების მოსმენა/მოსმენა-ყურება და გაგება.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ამოიცნობს სასაუბრო თემას, კონტექსტს, თანამოსაუბრეებს;</li> <li>➤ განარჩევს ფამილარულ და თავაზიან ფორმულებს;</li> <li>➤ ამოიცნობს სხვადასხვა სახის კონკრეტულ დეტალებს (მაგ., ემოციების, ადგილმდებარეობის, ფერის, ფორმის, რაოდენობის შესახებ);</li> <li>➤ ამოიცნობს ამბის განვითარების ეტაპებს (როგორ დაიწყო, რა მოხდა, როგორ დამთავრდა), მოვლენათა თანამიმდევრობას;</li> <li>➤ პერსონაჟთა საქციელიდან გამომდინარე, გამოაქვს დასკვნა მათი ხასიათის, თვისების შესახებ (მაგ., კეთილია, ბოროტია, ძუნწია, გულადია, მშიშარაა, ზარმაცია).</li> </ul>
<p><b>Iუცხ.დაწყ.(I).2.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს სიტყვების, წინადადებებისა და ტექსტების გარკვევით და შესაბამისი ინტონაციისა თუ მახვილების დაცვით წარმოთქმა.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ზეპირად გაითამაშებს დიალოგებს, სცენებს;</li> <li>➤ ზეპირად კითხულობს ლექსებს, ენის გასატეხებს, ასრულებს სიმღერებს;</li> <li>➤ ტექსტების შინაარსს ადეკვატურად უსადაგებს არავერბალურ მეტყველებას.</li> </ul>
<p><b>Iუცხ.დაწყ.(I).3.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობ თემატიკაზე მარტივ ინტერაქციაში მონაწილეობა, ნაცნობი თემატიკის გარშემო საუბარი.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ სვამს/პასუხობს კითხვებს, ან ითხოვს ნებართვას კონკრეტულ საკლასო სიტუაციასთან დაკავშირებით (მაგ., შეიძლება ავიღო ეს წიგნი?.. და სხვა);</li> <li>➤ მონაწილეობს მარტივ ინტერაქციაში ნასწავლ თემატიკაზე (მაგ., რა უყვარს, რა იცის, როგორია მისი მეგობარი, რა აქვს ჩანთაში, სად არის ნივთი და სხვ.);</li> <li>➤ პასუხობს ნასწავლი ტექსტის შინაარსის გარშემო დასმულ მარტივ კითხვებს (მაგ., რა აქვს, ვინ რა აჩუქა, რა ფერის, რამდენი, როგორი, როდის წავიდა, სად წავიდა, ვის რა მისცა და სხვა);</li> <li>➤ აღწერს ილუსტრაციებს;</li> <li>➤ მონაწილეობს სიმულაციურ სიტუაციაში.</li> </ul>
<p><b>Iუცხ.დაწყ.(I).4.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ზეპირი მეტყველების აქტივობების შესრულებისას სტრატეგიების გააზრებულად გამოყენება.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ გამოთქვამს ვარაუდს სათაურსა და ილუსტრაციებზე დაყრდნობით;</li> </ul>

	<p>➤ შინაარსის გასააზრებლად იშველიებს არავერბალურ ელემენტებს (მაგ., ხმის ტემბრს, ინტონაციას, მიმიკა-ჟესტიკულაციას).</p>
--	---

**რეკომენდაციები**

**აქტივობები შესაძლებელია დაეფუძნოს შემდეგი ტიპის ტექსტებს:**

- ა) სასწავლო მიზნებით შედგენილი მოსასმენი ტექსტები, რომლებსაც ილუსტრაციებიც ახლავს: თემატური დიალოგები/მონოლოგები, მარტივი ამბავი, ინსტრუქცია;
- ბ) ადაპტირებული ილუსტრირებული ზღაპარი/ მოთხრობა;
- გ) მულტიმედიური ტექსტები: ანიმაციური ფილმი, რეკლამა, საბავშვო რეკლამა, ვიდეოთამაშები ენობრივი კონსტრუქციებისა და ლექსიკური ერთეულების ასათვისებლად;
- დ) მხატვრული ტექსტი/ლიტერატურა: ლექსები, სიმღერები, ადაპტირებული ზღაპრები;
- ე) მულტიმედიური ტექსტები: საბავშვო სპექტაკლი, აუდიო-ვიდეო ტექსტები, განმავითარებელი თამაშები.

**ინტერაქცია შესაძლებელია დაეფუძნოს შემდეგ თემატიკას:**

სასკოლო საგნები, სასკოლო კვირის განრიგი, დღის რეჟიმი, საყოფაცხოვრებო ნივთები, საყიდლები, სურსათი, მაღაზიები; გართობა, ჰობი, სპორტი, თამაშები; ბუნება/ბუნების მოვლენები, ფერები, ზომა, სხეულის ნაწილები, ყოველდღიური საქმიანობა, დაბადების დღე, საჩუქრები და სხვ.

**აქტივობათა ნიმუშები:**

- სწორი პასუხის შემოხაზვა;
- ტექსტიდან ამოკრებილი ინფორმაციის დაჯგუფება-დახარისხება;
- მოქმედებათა გამომხატველი ილუსტრაციების დანომვრა სწორი თანამიმდევრობით;
- აღწერილი ნიშან-თვისებების (მაგ., გრძელი/მოკლე, სამკუთხა/ოთხკუთხა) მიხედვით შესაბამისი ილუსტრაციის მითითება/შემოხაზვა;
- პერსონაჟის, ცხოველის, ქმედების განსახიერება;
- მასწავლებლის თხრობის კვალდაკვალ ამბის ინსცენირება პანტომიმით;
- თამაში „ცივა/ცხელა“ / „ზამთარი/ზაფხული“ (მასწავლებლის მიერ დამალული ნივთის პოვნა);
- ჩაფიქრებული სიტყვის/ნივთის/საგნის გუნდისათვის ან კლასისათვის ერთი სიტყვით ახსნა (თამაში „ასოციაციობანა“);
- თანაკლასელის ჟესტების მიხედვით პერსონაჟის, ცხოველის ან საგნის ამოცნობა და დასახელება;
- მეწყვილისათვის/თანაკლასელისათვის ინტერვიუს ჩამორთმევა (რა გქვია? რამდენი წლის ხარ? ...);
- რა შეეშალა მხატვარს? ორ ილუსტრაციას შორის განსხვავებების დასახელება;
- მითითებული ფერის მიხედვით ფერადი ბარათების გაცვლა ერთი და იმავე ფერის ბარათების შესაგროვებლად ("მომეცი ლურჯი", "აი, თეთრი ბარათი" და მისთ.) და სხვ.

მიმართულება 2. წერითი მეტყველება (კითხვა და წერა)	
მისაღწევი შედეგები	IV კლასის შეფასების ინდიკატორები
<p><b>Iუცხ.დაწყ.(I).5.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს სიტყვების, წინადადებების გაშიფრვა; სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის ტექსტების გაშიფვრა და გაგება.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ კითხულობს (შიფრავს) ნაცნობ და უცნობ სიტყვებს, წინადადებებს, მცირე ზომის ტექსტებს;</li> <li>➤ ამოიცნობს ტექსტის საკომუნიკაციო სიტუაციას (ავტორი, ადრესატი, თემა, მიზანი.);</li> <li>➤ ამოიცნობს ფაქტობრივ/ექსპლიციტურ ინფორმაციას (როდის, სად, ვინ, რამდენი, როგორი და სხვა);</li> <li>➤ ამოიცნობს პერსონაჟთა თვისებებს;</li> <li>➤ ამოიცნობს მოქმედებების თანამიმდევრობას;</li> <li>➤ ამოიცნობს მოვლენათა შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს;</li> <li>➤ ამოიცნობს მოქმედებათა დროსა და ადგილს.</li> </ul>
<p><b>Iუცხ.დაწყ.I.6.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს კალიგრაფიული ნორმების დაცვა; მოდელის მიხედვით სხვადასხვა ტიპის მარტივი ტექსტების შედგენა.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ წერს აკურატულად;</li> <li>➤ კარნახით წერს ნასწავლ სიტყვებს და წინადადებებს;</li> <li>➤ ტექსტის წერისას სათანადოდ იყენებს ნასწავლ ლექსიკასა და შესიტყვებებს, გამოთქმებს;</li> <li>➤ მიუთითებს კონკრეტულ დეტალებს;</li> <li>➤ სათანადოდ სვამს სასვენ ნიშნებს;</li> <li>➤ ადგენს წარწერებს ილუსტრაციებისთვის.</li> </ul>
<p><b>Iუცხ.დაწყ.(I).7.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს წერითი მეტყველების აქტივობის შესრულებისას სტრატეგიების გააზრებულად გამოყენება.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ნაცნობ ელემენტებზე (კონტექსტზე, ილუსტრაციაზე) დაყრდნობით ცდილობს უცნობი სიტყვების ამოცნობას;</li> <li>➤ აკვირდება ტექსტის სტრუქტურას, მაორგანიზებელ ელემენტებს (მაგ., სათაურს, რუბრიკას, ცხრილის აგებულებას და მონაცემებს, ილუსტრაციას, წარწერას, ლოგოს, ტიპოგრაფიულ მახასიათებლებს (მაგ., მსხვილ შრიფტს და სხვა) და მასზე დაყრდნობით მოიძიებს საჭირო ინფორმაციას;</li> <li>➤ აცნობიერებს კითხვის პროცესში გამოყენებულ ხერხებს.</li> </ul>
რეკომენდაციები	
<p><b>აქტივობები შესაძლებელია დაეფუძნოს შემდეგი ტიპის ტექსტებს:</b></p> <p>ა) პრაგმატული ტექსტები: დღის განრიგი, კატალოგი, საბავშვო ტელეპროგრამა, გაკვეთილების ცხრილი, მისალოცი ბარათი, გზავნილი (შეტყობინება), ანკეტა პირადი მონაცემებით, ღია ბარათი, მენიუ;</p>	

- ბ) დიდაქტიზებული ტექსტები: დიალოგი, ამბავი;
- გ) მცირე ზომის შემეცნებითი ტექსტები ნაცნობ თემატიკაზე;
- დ) ადაპტირებული კომიქსები, რეკლამები.

**აქტივობათა ნიმუშები:**

- ტექსტში სიტყვების მოძიება წინასწარ მიცემული ინსტრუქციის მიხედვით (მაგ., პერსონაჟთა სახელები, სათამაშოების ან ცხოველების აღმნიშვნელი სიტყვები და ა.შ.);
- ილუსტრაციის შესაბამისი მონაკვეთის პოვნა;
- ტექსტში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით კონკრეტული ქმედების (დაასრულებს ნახატს, პოულობს შესატყვის ილუსტრაციას, ავსებს ცხრილს, ნომრავს სურათებს და სხვა) შესრულება;
- სხვადასხვა ტიპის ტექსტის შედარება სტრუქტურული ორგანიზების მიხედვით (მაგ., სათამაშოების კატალოგისა და ტელეპროგრამის), განსხვავებების, მსგავსებების დასახელება (მაგ., კატალოგში სურათები და ინფორმაცია იქვეა განთავსებული, ტელეპროგრამაში კი - არა; ტელეპროგრამაში საათების მიხედვით არის ჩამონათვალი, კატალოგში საათი საერთოდ არ არის მითითებული და სხვა);
- მოსწავლეთა მიერ გამოყენებული ხერხების დაფაზე ჩამოწერა, მათი შედარება და შეფასება: რომელმა გააადვილა საკითხავი ამოცანის გადაჭრა;
- დაფიდან ან სხვა ნაბეჭდი წყაროდან სიტყვების, წინადადებების გადაწერა;
- გამაფრთხილებელი აზრის დაწერა;
- საყვარელ გადაცემათა ტელეპროგრამის შედგენა;
- კლასში მომზადებული „საფოსტო ყუთის“ გამოყენებით ერთმანეთისათვის ღია ბარათების გაგზავნა;
- დილის საუზმის მენიუს შედგენა;
- სხვადასხვა თემაზე (მაგ., „სკოლა“, „ჩემი მეგობარი“, „ჩემი საყვარელი საგანი“, „ჩემი დაბადების დღე“ და სხვ.) ნახატებით/ფოტოებით და მათი აღმწერი წარწერებით გაფორმებული ტექსტების შექმნა და სხვ.

**მიმართულება 3. ინტერკულტურა**

მისაღწევი შედეგები	IV კლასის შეფასების ინდიკატორები
<p><b>Iუცხ.დაწყ.(I).8.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ილუსტრაციებსა და ტექსტებში საკუთარი და უცხო კულტურის რეალიების ამოცნობა, სოციოკულტურული კონტექსტების ერთმანეთთან შედარება.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ სახელმძღვანელოსა თუ საბავშვო მედია/მულტიმედიურ ტექსტებში ამოიცნობს კულტურის, სოციო-კულტურის რეალიებს;</li> <li>➤ შედარებისას პოულობს მათ შორის მსგავსებებსა და განსხვავებებს.</li> </ul>



<p><b>Iუცხ.დაწყ.(I).9.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს თანატოლებთან და მასწავლებელთან ერთად საგანმანათლებლო პროექტების დაგეგმვა და განხორციელება სამიზნე ქვეყნის/ ქვეყნების სოციოკულტურულ და კულტურულ რეალიებზე.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ მასწავლებელთან ერთად აყალიბებს პროექტის წარმატებით განხორციელების კრიტერიუმებს;</li> <li>➤ გუნდის წევრებთან და მასწავლებელთან ერთად გეგმავს პროექტის განხორციელების ეტაპებს;</li> <li>➤ გუნდის წევრებისა და მასწავლებლის დახმარებით განსაზღვრავს და ანაწილებს ფუნქციებს;</li> <li>➤ გუნდის თითოეულ წევრთან ერთად ასრულებს მისთვის მიკუთვნებულ ფუნქციას;</li> <li>➤ მასწავლებლის დახმარებით აუმჯობესებს და ასრულებს პროექტს.</li> </ul>
--	---

<p><b>რეკომენდაციები</b></p>	
<p><b>საპროექტო იდეები:</b> გენეალოგიური ხის შედგენა, ზღაპრის/სკეტჩის დადგმა და წარდგენა, ზეიმის მოწყობა, ნახატების გამოფენა, საყვარელი ზღაპრის/ანიმაციური ფილმის აფიშის მომზადება, სასურველი ტელეგადაცემების კვირეული პროგრამის შედგენა და სხვ.</p>	

<p><b>მიმართულება 4. სწავლის სწავლა</b></p>	
<p><b>მისაღწევი შედეგები</b></p>	<p><b>IV კლასის შეფასების ინდიკატორები</b></p>
<p><b>Iუცხ.დაწყ.(I).10.</b> მოსწავლემ მასწავლებლის დახმარებით უნდა შეძლოს სწავლის პროცესზე დაფიქრება, საკუთარი წინსვლის ხელშეწყობა და სწავლის პროცესის წარმართვასა და გაუმჯობესებაში აქტიურად მონაწილეობა.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ აფასებს სწავლის პროცესს: ავსებს ასაკის შესაბამის შეფასების სქემებს;</li> <li>➤ ამჩნევს, რაში აქვს წინსვლა და აღწერს/ასახელებს მას; წინსვლის ამსახველ მასალას ინახავს პორტფოლიოში (მაგ, ორი ნამუშევარი, რომელშიც თვალსაჩინოდ აისახება წინსვლა; ადრეული და გვიანდელი შეფასების სქემები, ვიდეო და აუდიო ჩანაწერები, რომლებშიც ჩანს მისი ზეპირი აქტივობა);</li> <li>➤ აცნობიერებს და ასახელებს სისუსტეებს და მიუთითებს გამოსწორების შესაძლო გზებს (მაგ. როგორ მოიქცეს, რომ აღარ დარჩეს შინ სასწავლო ნივთები; როგორი ხერხით დაიმახსოვროს ლექსიკური ერთეულები).</li> </ul>

<p><b>იუცხ.დაწყ.(I).11.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს სწავლის ხელშემწყობი სტრატეგიებისა და სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო რესურსების (ბეჭდვითი და მულტიმედიური რესურსების, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების) გააზრებულად გამოყენება.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ კმნის ოპერატიულ რესურსებს და იყენებს მათ (მაგ., ლოტოს, მარტივ სქემებს, ილუსტრირებულ ლექსიკონს, ყუთებს ინფორმაციის, მასალის დახარისხებისათვის და სხვა).</li> <li>➤ იყენებს ისტ-ს ამა თუ იმ მასალის/ტექსტის შესაქმნელად/დასამუშავებლად;</li> <li>➤ ეფექტიანად იყენებს სახელმძღვანელოს რესურსებს (ილუსტრაციებს, ლექსიკონს, სარჩევს, ლოგოებს, სამოდელო ნიმუშებს);</li> <li>➤ მოიძიებს ინფორმაციას/სასწავლო მასალას ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) მეშვეობით.</li> </ul>
---	---

თვითშეფასების სქემის ნიმუში

ძალიან კარგად

საშუალოდ

ჯერ არ შემიძლია

შემიძლია ინგლისურად:	
1. ვთქვა, რა მქვია	
2. ვკითხო სხვას, რა ჰქვია	
3. ვთქვა, რა ცხოველი მყავს	
4. დავითვალო ათამდე	
5. ჩამოვთვალო, რა სასწავლო ნივთები მაქვს	

უნდა გავაუმჯობესო: -----

ამისათვის: -----

ხელმოწერა: -----

## V კლასი

მიმართულება 1. ზეპირი მეტყველება (მოსმენა და ლაპარაკი)	
მისაღწევი შედეგები	V კლასის შეფასების ინდიკატორები
<p><b>Iუცხ.დაწყ.(II).1.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტის მოსმენა/მოსმენა-ყურება და გაგება.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ამოიცნობს სასაუბრო თემას, კონტექსტს, თანამოსაუბრეებს;</li> <li>➤ განარჩევს ფამილარულ და თავაზიან ფორმულებს;</li> <li>➤ ამოიცნობს კონკრეტულ დეტალებს (სად, როდის, რამდენი, როგორი და სხვ.);</li> <li>➤ ამოიცნობს ამბის განვითარების ეტაპებს (როგორ დაიწყო, რა მოხდა, როგორ დამთავრდა);</li> <li>➤ განსაზღვრავს მოქმედებათა დროსა და ადგილს;</li> <li>➤ ამოიცნობს პერსონაჟების ემოციებს, დამოკიდებულებს;</li> <li>➤ პერსონაჟთა საქციელიდან გამომდინარე, გამოაქვს დასკვნა მათი ხასიათის, თვისების შესახებ;</li> <li>➤ განარჩევს ინტონაციით გამოხატული ნათქვამის მოდალობას (თხოვნა, შეკითხვა, ბრძანება).</li> </ul>
<p><b>Iუცხ.დაწყ.(II).2.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს მარტივ ინტერაქციაში მონაწილეობა, რამდენიმე წინადადებაიან მონოლოგის წარმოთქმა.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ გაითამაშებს მარტივ დიალოგებსა და სცენებს; ტექსტების წარმოთქმისას იცავს შესაბამის ინტონაციასა და რიტმს;</li> <li>➤ მონაწილეობს მარტივ ინტერაქციაში; სვამს/პასუხობს კითხვებს კონკრეტულ საკლასო სიტუაციასთან დაკავშირებით;</li> <li>➤ სვამს /პასუხობს მარტივ კითხვებს მისთვის ნაცნობი თემების, ნასწავლი ტექსტის შინაარსის შესახებ;</li> <li>➤ მონაწილეობს სიმულაციურ სიტუაციაში (მაგ., მაღაზიაში, შეხვედრა ქუჩაში/პარკში თანატოლთან/უფროსთან);</li> <li>➤ აღწერს გარემოს (ოთახს, ქუჩას, სურათს);</li> <li>➤ მარტივი ენით ჰყვება ნაწახ ან გაგონილ ამბავს;</li> <li>➤ საუბრობს მისთვის ნაცნობ თემებზე (მაგ., ოჯახი, ნათესავები/ მეგობრები, თავისუფალი დრო და სხვა).</li> </ul>
<p><b>Iუცხ.დაწყ.(II).3.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინებით ელემენტარული ენობრივი უნარ-ჩვევების გამოყენება;</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ინტერაქციისას შეარჩევს საკომუნიკაციო სიტუაციის შესატყვის მიმართვის ფორმებს, გამოთქმებს, კლიშეებს, ენობრივ კონსტრუქციებს;</li> <li>➤ იცავს შესაბამის ინტონაციას სხვადასხვა მოდალობის წინადადებების წარმოთქმის დროს;</li> <li>➤ იყენებს ადგილმდებარეობის გამომხატველ მარტივ ენობრივ საშუალებებს;</li> <li>➤ იცავს ელემენტარულ სინტაქსურ მიმართებებს წინადადებების წევრებს შორის (ქვემდებარისა და შემასმენლის შეთანხმება პირსა და რიცხვში);</li> <li>➤ სათანადოდ იყენებს ნასწავლ ლექსიკურ ერთეულებს.</li> </ul>

<p><b>Iუცხ.დაწყ.(II).4.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ზეპირი მეტყველების ამოცანების შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ გამოთქვამს ვარაუდს შინაარსის შესახებ სათაურის, ილუსტრაციების, არავერბალური ელემენტების საფუძველზე;</li> <li>➤ ცდილობს უცნობი სიტყვების, გამოთქმების, წინადადებების მნიშვნელობის დამოუკიდებლად ამოცნობას ნაცნობ ელემენტებზე დაყრდნობით (მაგ., კონტექსტი, ილუსტრაცია და სხვა);</li> <li>➤ მშობლიურ ენაზე აღწერს, რა ხერხით/გზით მოახერხა მოსასმენი ამოცანის გადაჭრა.</li> </ul>
---	--

**რეკომენდაციები**

**აქტივობები შესაძლებელია დაეფუძნოს შემდეგი ტიპის ტექსტებს:**

ა) სასწავლო მიზნებით შედგენილი მოსასმენი ილუსტრირებული ტექსტები, თემატური დიალოგები/მონოლოგები, მარტივი ამბავი, ინსტრუქცია, საგზაო მარშრუტი;

ბ) ადაპტირებული ილუსტრირებული მოთხრობა;

გ) მულტიმედიური ტექსტები: ანიმაციური ფილმი, რეკლამა, საბავშვო რეკლამა, ვიდეოთამაშები ენობრივი კონსტრუქციებისა და ლექსიკური ერთეულების ასათვისებლად, აუდიო-ვიდეო მასალა საპროგრამო თემატიკაზე;

დ) სასწავლო მიზნით შედგენილი ტექსტები, ადაპტირებული მოთხრობები;

ე) მარტივი შემეცნებითი ტექსტები;

ვ) მულტიმედიური ტექსტები: საბავშვო სპექტაკლი, აუდიო-ვიდეო ტექსტები, განმავითარებელი თამაშები.

**ინტრაქცია შესაძლებელია დაეფუძნოს შემდეგ თემატიკას:**

სასკოლო კვირის განრიგი, სასკოლო საგნები, ოჯახი, მეგობრები, გართობა, ჰობი, სპორტი, კვება, ყოველდღიური საქმიანობა, საცხოვრებელი ადგილი და სხვა.

**აქტივობათა ნიმუშები:**

- ტექსტის შინაარსის მიხედვით კითხვებზე პასუხის გაცემა;
- მოცემული ვარიანტებიდან სწორი/არასწორი ინფორმაციის მონიშვნა;
- პერსონაჟებისა და რეპლიკების ურთიერთდაკავშირება;
- მოსმენილი ტექსტის მიხედვით შესაბამისი ილუსტრაციების დანომვრა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით;
- ტექსტის მიხედვით სავარჯიშოში გამოტოვებული ადგილების შევსება შესატყვისი სიტყვებით/ფრაზებით;
- მოსმენილი ტექსტის მიხედვით რეკლამის ნაკლული ინფორმაციის შევსება;
- მინიინტერვიუების ჩამორთმევა თანაკლასელებისთვის ნაცნობი თემების გარშემო (მაგ., არდადადეგები, საცხოვრებელი ადგილი, მეგობრები, საყვარელი დღესასწაული და სხვა);
- აღწერილი სიტუაციების მიხედვით სიმულაციური დიალოგების გათამაშება;
- დამალული საგნის, ჩაფიქრებული სიტყვის გამოცნობა კითხვა-პასუხზე დაყრდნობით;
- ორი სურათის მსგავსება-განსხვავებაზე საუბარი;
- საცხოვრებლის, ქალაქის, ოჯახის და ა.შ. აღწერა თვალსაჩინოებაზე დაყრდნობით;
- სკოლისკენ ან სახლისკენ მიმავალი გზის აღწერა;

➤ „ჯაჭვური თხრობა“: მოსმენილი ფრაზების გამეორება და ტექსტის გაგრძელება თითო სიტყვით/წინადადებით (მოსწავლეთა ჯაჭვში) და სხვ.

მიმართულება 2. წერითი მეტყველება (კითხვა და წერა)	
მისაღწევი შედეგები:	V კლასის შეფასების ინდიკატორები:
<p><b>იუცხ.დაწყ.(II).5.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს გაწაფულად კითხვა.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ შესაბამისი ინტონაციითა და პაუზების გამოყენებით ხმამაღლა გამართულად კითხულობს მცირე ზომის ნაცნობ ტექსტებს;</li> <li>➤ ტექსტის შინაარსს ადეკვატურად უსადაგებს არავერბალურ მეტყველებას.</li> </ul>
<p><b>იუცხ.დაწყ.(II).6.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული ტექსტების წაკითხვა და გაგება.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ამოიცნობს ტექსტის საკომუნიკაციო სიტუაციას (ავტორი, ადრესატი, თემა, მიზანი);</li> <li>➤ საკითხავი ამოცანების შესაბამისად ტექსტში პოულობს ექსპლიციტურად მოცემულ ინფორმაციას;</li> <li>➤ ამოიცნობს მოვლენათა და მოქმედებათა თანამიმდევრობას; მათ შორის მიზეზშედეგობრივ კავშირებს;</li> <li>➤ ამოიცნობს პერსონაჟების ემოციებსა და განწყობებს, მათი ქცევის მოტივებს (მაგ., რატომ არის მოწყენილი; რატომ მოიქცა ასე და ა.შ.);</li> <li>➤ განარჩევს ტექსტში ავტორისა და პერსონაჟების სიტყვებს;</li> <li>➤ გამოყოფს სიუჟეტის განვითარების საფეხურებს.</li> </ul>
<p><b>იუცხ.დაწყ.(II).7.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა ტიპის მარტივი ტექსტის სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ამოიცნობს სხვადასხვა ტიპის მარტივი ტექსტის სტრუქტურულ მახასიათებლებს;</li> <li>➤ ერთმანეთს ადარებს სხვადასხვა სახის ტექსტს კომპოზიციური აგებულების მიხედვით (მაგ., გაკვეთილების ცხრილი და ღია ბარათი), ასახელებს განსხვავებებს, მსგავსებებს;</li> <li>➤ ამოიცნობს საკომუნიკაციო სიტუაციის შესატყვის გამოთქმებს, კლიშეებს, ენობრივ კონსტრუქციებს (მაგ., მოკითხვის, მილოცვის, დაპატიჟების და სხვა);</li> <li>➤ ამოიცნობს სინტაქსურ მიმართებებს მარტივი წინადადებების წევრებს შორის, ზმნის ახლანდელი, წარსული და მომავალი დროის გამომხატველ ფორმებს, ზმნიზედებს, ადგილმდებარეობისა და დროის</li> </ul>

	გამომხატველ მარტივ ენობრივ საშუალებებს (ზმნიზედას, წინდებულს).
<p><b>იუცხ.დაწყ.(II).8.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ნიმუშის მიხედვით მცირე ზომის ტექსტის დაწერა.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ თანამიმდევრობით გადმოსცემს ფაქტებს, მოვლენებს;</li> <li>➤ აღწერს / ახასიათებს ადამიანებს, ცხოველებს, საგნებს;</li> <li>➤ აზუსტებს საჭირო დეტალებს;</li> <li>➤ გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებებს, გრძნობებსა და სურვილებს.</li> </ul>
<p><b>იუცხ.დაწყ.(II).9.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს წერილობითი ტექსტის სტრუქტურის დაცვა, ელემენტარული ენობრივი უნარ-ჩვევების გამოყენება.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ იყენებს საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამის ფორმულებს;</li> <li>➤ იცავს წერილობითი ტექსტის სტრუქტურას;</li> <li>➤ იყენებს ადგილმდებარეობის გამომხატველ მარტივ ენობრივ საშუალებებს (ზმნიზედა, წინდებული);</li> <li>➤ იცავს ელემენტარულ სინტაქსურ მიმართებებს წინადადების წევრებს შორის (მაგ., ქვემდებარისა და შემასმენლის შეთანხმება პირსა და რიცხვში);</li> <li>➤ შეარჩევს ზმნის სათანადო ფორმებს;</li> <li>➤ იცავს სიტყვათა წყობას მტკიცებითი, უარყოფითი და კითხვითი შინაარსის შემცველ წინადადებებში;</li> <li>➤ იცავს ორთოგრაფიის წესებს, სწორად იყენებს სასვენ ნიშნებს.</li> </ul>
<p><b>იუცხ.დაწყ.(II).10.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს წერილი მეტყველების ამოცანების შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ სათაურზე, ილუსტრაციებზე დაყრდნობით მშობლიურ ენაზე გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის შინაარსის შესახებ;</li> <li>➤ ნაცნობ ელემენტებზე დაყრდნობით (მაგ., კონტექსტი, ილუსტრაცია, ნაცნობი ფუძე) დამოუკიდებლად ამოიცნობს უცნობი სიტყვების, წინადადებების მნიშვნელობას;</li> <li>➤ მთლიან ტექსტზე დაკვირვებით, მისი სიტყვიერი და არასიტყვიერი მარგანიზებელი ელემენტების დახმარებით (სათაური, რუბრიკა, ილუსტრაცია, წარწერა, აბზაცი, სვეტი, ლოგო, ტიპოგრაფიული მახასიათებლები /მაგ., მსხვილი შრიფტი/ და სხვ.) მოიძიებს კონკრეტულ ინფორმაციას;</li> <li>➤ მშობლიურ ენაზე აღწერს, რა გზით მოახერხა ამა თუ იმ საკითხავი დავალების შესრულება;</li> <li>➤ ეცნობა და იყენებს სხვების მიერ შერჩეულ ხერხებს, გამოაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რომელი მიდგომა იყო მისთვის უფრო ეფექტური და რატომ.</li> <li>➤ მოიძიებს და ამზადებს აუცილებელ სასწავლო რესურსებს (მაგ., ლექსიკონი, ნიმუში, საჭირო ენობრივი მასალა და სხვა);</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ წერს შავ ვარიანტს;</li> <li>➤ გადაიკითხავს შავ ვარიანტს, სასწავლო რესურსზე დაყრდნობით ამოწმებს ნაწერს და ასწორებს შეცდომებს;</li> <li>➤ ათეთრებს ნაწერს.</li> </ul>
--	--

**რეკომენდაციები**

**აქტივობები შესაძლებელია დაეფუძნოს შემდეგი ტიპის ტექსტებს:**

ა) პრაგმატული ტექსტები: ღია ბარათი, პირადი წერილი (ხელნაწერი ან ელექტრონული სახით), დღის განრიგი, გაკვეთილების ცხრილი, მოსაწვევი ბარათი, მენიუ, კულინარული რეცეპტი და სხვა;

ბ) დიდაქტიზებული ტექსტები: დიალოგი, მარტივი თხრობითი ან აღწერითი ტექსტები, საგზაო მარშრუტი;

გ) საინფორმაციო, მცირე ზომის შემეცნებითი ტექსტები;

დ) ადაპტირებული კომიქსები, რეკლამები, აუდიო-ვიდეო მასალა საპროგრამო თემატიკაზე.

**აქტივობათა ნიმუშები:**

- მონაწილეობა დიალოგის, სკეტჩის გუნდურ კითხვაში.
- ტექსტის შინაარსის მიხედვით კომიქსის პერსონაჟების გახმოვანება;
- ტექსტის (თხრობითი, შემეცნებითი) არეულად მოცემული ფრაგმენტების სწორი თანმიმდევრობით დალაგება;
- ტექსტისა ან მისი ცალკეული ეპიზოდის დასათაურება;
- ტექსტში ნაკლები ინფორმაციის შევსება;
- ილუსტრაციის ან გეგმის მიხედვით ცალკეული მონაკვეთებისგან ტექსტის აწყობა;
- ტექსტში მოცემული ინფორმაციის დახარისხება (მაგ., მოქმედ პირთა წარმომავლობა, პროფესიები, გეოგრაფიული ადგილები და სხვა);
- სადღესასწაულო წვეულებისთვის კერძების შერჩევა სხვადასხვა მენიუდან/კულინარული რეცეპტების წიგნიდან;
- მეგობრისთვის, ახლობლისთვის, მასწავლებლისთვის განკუთვნილ ღია ბარათში/წერილში გამოტოვებული ადგილების შევსება;
- მოსაწვევის შედგენა მეგობრის წვეულებაზე დასაპატიჟებლად;



- სურათის აღწერა;
- საკუთარი ოთახის აღწერა;
- მონაცემების მიხედვით პირადი წერილის შედგენა;
- გეგმის მიხედვით ნასწავლი ტექსტის მოკლე შინაარსის შედგენა;
- მოცემული ყალიბის შევსება განსხვავებული შინაარსით (მაგ., *წერს პერსონაჟის საპირისპირო დახასიათებას*);
- მოსწავლეების მიერ მომზადებულ საფოსტო ყუთის გამოყენებით ერთმანეთისათვის შეტყობინებების გაგზავნა „დამალულ განძზე“;
- ილუსტრაციებზე დაყრდნობით ამბის დასრულება;
- მოცემულ სიტყვებზე/ ილუსტრაციებზე/ სათაურზე დაყრდნობით ტექსტის შედგენა და სხვ.

მიმართულება 3. ინტერკულტურა	
მისაღწევი შედეგები	V კლასის შეფასების ინდიკატორები
<p><b>Iუცხ.დაწყ.(II).11.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს სოციოკულტურული კონტექსტების ერთმანეთთან შედარება, პარალელების გავლება უცხო და მშობლიური კულტურის ფენომენებს შორის.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ მოსწავლე იჩენს ინტერესს კულტურული განსხვავებების მიმართ; ავლებს პარალელებს უცხო და მშობლიურ კულტურულ და სოციოკულტურულ კონტექსტებს შორის და პოულობს მსგავსება-განსხვავებებს;</li> <li>➤ გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებებს, დამოკიდებულებებს მსგავსებებსა და განსხვავებების შესახებ;</li> <li>➤ მოიძიებს დამატებით ცნობებს;</li> <li>➤ პოულობს ნასწავლი ანდაზის ანალოგიურს მშობლიურ ენაში და ადარებს გამოხატვის ფორმებს.</li> </ul>
<p><b>Iუცხ.დაწყ.(II).12.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს თანატოლებთან და მასწავლებელთან ერთად სხვადასხვა ტიპის პროექტის დაგეგმვა და განხორციელება.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ მასწავლებელთან, გუნდის წევრებთან ერთად აყალიბებს პროექტის წარმატებით განხორციელების კრიტერიუმებს, გეგმავს პროექტის განხორციელების ეტაპებს;</li> <li>➤ ასრულებს მისთვის მიკუთვნებულ ფუნქციას, რომლის განსაზღვრა-განაწილებაში მონაწილეობს გუნდის ყველა წევრი მასწავლებლის დახმარებით;</li> <li>➤ მასწავლებლის, მშობლის ან სხვა პირის დახმარებით მოიძიებს სათანადო რესურსებს;</li> <li>➤ გუნდის წევრებთან ერთად მასწავლებლის დახმარებით შეარჩევს, დაამუშავებს მოძიებულ მასალას, აუმჯობესებს და ასრულებს პროექტს.</li> </ul>
რეკომენდაცია	
<p><b>საპროექტო იდეები:</b> დასურათებული ლექსიკონის შედგენა; სურათებიანი წიგნისთვის ტექსტის შედგენა; ამბის ინსცენირება; საშობაო/დედის დღის აღსანიშნავი მისალოცი ბარათების შექმნა; საყვარელი ფილმის/წიგნის/საგნის რეკლამა.</p>	

<b>მიმართულება 4. სწავლის სწავლა</b>	
<b>მისაღწევი შედეგები</b>	<b>V კლასის შეფასების ინდიკატორები</b>
<p><b>Iუცხ.დაწყ.(II).13.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს სასწავლო საქმიანობის მართვა, სწავლის პროცესზე დაფიქრება, საკუთარი წინსვლის ხელშეწყობა და სწავლის პროცესის წარმართვასა და გაუმჯობესებაში აქტიურად მონაწილეობა.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ გეგმავს საკუთარ საქმიანობას;</li> <li>➤ მონაწილეობს სწავლის პროცესის შეფასებაში, ავსებს ასაკის შესაბამის თვითშეფასების სქემებს,</li> <li>➤ აკვირდება შეფასების შედეგებს, გაიაზრებს და ასახელებს წინსვლისა და ჩამორჩენის მიზეზებს;</li> <li>➤ ქმნის პირად პორტფოლიოს საკუთარი წინსვლის ამსახველი მასალებისთვის (შეფასების სქემები, ვიდეო და აუდიო ჩანაწერები, პროექტის მასალები);</li> <li>➤ ცდილობს დამოუკიდებლად გადალახოს სიმძნელები;</li> <li>➤ აცნობიერებს და ასახელებს წინსვლისთვის ხელისშემშლელ მიზეზებს, მიუთითებს მათი გამოსწორების შესაძლო გზებზე (მაგ. რომელი ხერხი გამოიყენოს ლექსიკური მასალის დასამახსოვრებლად).</li> </ul>
<p><b>Iუცხ.დაწყ.(II).14.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სტრატეგიებისა და სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო რესურსების (ბეჭდვითი და მულტიმედიური რესურსების, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების) გააზრებულად გამოყენება.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ იყენებს სხვადასხვა ხერხს ლექსიკური მასალის ასათვისებლად (მაგ., რამდენჯერმე წაკითხვა ან დაწერა, ასოცირება რაიმესთან, კონტექსტში გამოყენება, ერთი თემატიკის მიხედვით დაჯგუფება და სხვა); სისტემატურად იმეორებს განვლილ ლექსიკურ მასალას; ამოკრებს რთულად ათვისებულ ლექსიკურ ერთეულებს და ამუშავებს მათ;</li> <li>➤ იყენებს სხვადასხვა სტრატეგიას გრამატიკულ მოვლენებში გასარკვევად: კონკრეტულ მაგალითებზე დაკვირვებით ამოიცინობს და იყენებს ენობრივ მექანიზმებს; ადარებს ერთმანეთს უცხოური და მშობლიური ენების გრამატიკულ მოვლენებს; იყენებს სქემებს, ტაბულებს, კლასიფიკაციებს, სტრუქტურულ მოდელებს;</li> <li>➤ ქმნის ოპერატიულ რესურსებს (მაგ., ანბანურ/თემატურ ლექსიკონს, პლაკატს, მარტივ სქემას, კითხვარს და სხვა) და იყენებს მათ;</li> <li>➤ ეფექტიანად იყენებს სახელმძღვანელოს რესურსებს (მაგ., ლექსიკონს, სტრუქტურულ ნიმუშებს, გრამატიკულ ცნობარს, ილუსტრაციებს და სხვა);</li> <li>➤ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) მეშვეობით ეფექტიანად იყენებს ასაკის შესატყვის საგანმანათლებლო პროგრამებს, ელექტრონულ ლექსიკონებს;</li> <li>➤ მასწავლებლის დახმარებით მოძიებული ინტერნეტ-რესურსების გამოყენებით ქმნის და ამუშავებს ტექსტს, იყენებს ფოტოებს, ცხრილებს.</li> </ul>



## VI კლასი

მიმართულება 1. ზეპირი მეტყველება (მოსმენა და ლაპარაკი)	
მისაღწევი შედეგები:	VI კლასის შეფასების ინდიკატორები
<p><b>Iუცხ.დაწყ.(II).1.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტის მოსმენა/მოსმენა-ყურება და გაგება</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ამოიცნობს საკომუნიკაციო სიტუაციას (თემას, პერსონაჟებს/თანამოსაუბრეებს);</li> <li>➤ ამოიცნობს თანამოსაუბრეთა და პერსონაჟთა შორის არსებულ მარტივ ურთიერთობებს;</li> <li>➤ რეპლიკებზე დაყრდნობით გამოაქვს კონკრეტული დასკვნები თანამოსაუბრეთა შესახებ (მაგ., მათი სურვილების, გეგმების, ინტერესების, საქმიანობის, დამოკიდებულებების შესახებ);</li> <li>➤ ამოიცნობს კონკრეტულ დეტალებს (მოქმედების დროს, ადგილს და ა.შ.);</li> <li>➤ ამოიცნობს სიუჟეტის განვითარების ხაზს;</li> <li>➤ ამოიცნობს მოქმედებათა თანამიმდევრობას;</li> <li>➤ ამოიცნობს ინტონაციით გამოხატული ნათქვამის მოდალობას (თხოვნა, მოთხოვნა, შეკითხვა, ბრძანება).</li> </ul>
<p><b>Iუცხ.დაწყ.(II).2.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს მარტივ ინტერაქციაში მონაწილეობა, რამდენიმე წინადადებიანი მონოლოგის წარმოთქმა.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ სვამს/პასუხობს კითხვებს მისთვის ნაცნობი თემის (მაგ., სტუმრად ქალაქში/ სოფელში, საყვარელი საქმიანობა/ გართობა, საყვარელი გადაცემები და სხვა) გარშემო;</li> <li>➤ გამოთქვამს საკუთარ დამოკიდებულებას, ემოციას გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით;</li> <li>➤ მოჰყავს მაგალითები პირადი გამოცდილებიდან;</li> <li>➤ მონაწილეობს სიმულაციურ სიტუაციაში (მაგ., გზა სკოლიდან სახლამდე, შეთანხმება შეხვედრის შესახებ; კაფეში; ვიზიტი ექიმთან, საჩუქრის შერჩევა და სხვა);</li> <li>➤ გეგმის მიხედვით ჰყვება მოსმენილი/წაკითხული ტექსტის მოკლე შინაარსს;</li> <li>➤ საუბრობს მისთვის ნაცნობ თემებზე (მაგ., არდადეგები, გეგმები, გატაცებები, საყვარელი საქმიანობა და სხვა).</li> </ul>
<p><b>Iუცხ.დაწყ.(II).3.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინებით ელემენტარული ენობრივი უნარ-ჩვევების გამოყენება.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ინტერაქციისას შეარჩევს საკომუნიკაციო სიტუაციის შესატყვის მიმართვის ფორმებს, გამოთქმებს, კლიშეებს, ენობრივ კონსტრუქციებს;</li> <li>➤ იცავს შესაბამის ინტონაციას სხვადასხვა მოდალობის წინადადებების წარმოთქმის დროს;</li> <li>➤ იყენებს ადგილმდებარეობის გამომხატველ მარტივ ენობრივ საშუალებებს;</li> <li>➤ იცავს ელემენტარულ სინტაქსურ მიმართებებს წინადადებების წევრებს შორის;</li> <li>➤ სათანადოდ იყენებს ნასწავლ ლექსიკურ ერთეულებს.</li> </ul>
<p><b>Iუცხ.დაწყ.(II).4.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ზეპირი მეტყველების</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p>

<p>ამოცანების შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ გამოთქვამს ვარაუდს შინაარსის შესახებ სათაურის, ილუსტრაციების, არავერბალური ელემენტების საფუძველზე;</li> <li>➤ ცდილობს უცნობი სიტყვების, გამოთქმების, წინადადებების მნიშვნელობის დამოუკიდებლად ამოცნობას ნაცნობ ელემენტებზე დაყრდნობით (მაგ., კონტექსტი, ინტონაცია, ილუსტრაცია და სხვა);</li> <li>➤ მშობლიურ ენაზე აღწერს, რა ხერხით/გზით მოახერხა მოსასმენი ამოცანის გადაჭრა.</li> </ul>
---	---

**რეკომენდაციები**

**აქტივობები შესაძლებელია დაეფუძნოს შემდეგი ტიპის ტექსტებს:**

ა) სასწავლო მიზნებით შედგენილი მოსასმენი ილუსტრირებული ტექსტები, თემატური დიალოგები/მონოლოგები, მარტივი ამბავი, ინსტრუქცია;

ბ) ადაპტირებული ილუსტრირებული მოთხრობა;

გ) პრაგმატული ტექსტი - ამინდის მარტივი პროგნოზი, სამარშრუტო გეგმა, მარტივი შეტყობინება;

დ) მულტიმედიური ტექსტები: ანიმაციური ფილმი, რეკლამა, საბავშვო რეკლამა, ვიდეოთამაშები ენობრივი კონსტრუქციებისა და ლექსიკური ერთეულების ასათვისებლად, აუდიო-ვიდეო მასალა საპროგრამო თემატიკაზე;

ე) სასწავლო მიზნით შედგენილი ტექსტები, ადაპტირებული მოთხრობები;

ვ) საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები;

ზ) მულტიმედიური ტექსტები: საბავშვო სპექტაკლი, აუდიო-ვიდეო ტექსტები, განმავითარებელი თამაშები.

**ინტერაქცია შესაძლებელია დაეფუძნოს შემდეგ თემატიკას:**

საქმიანობა, ჯანმრთელობა, ჩაცმულობა, თამაშები, მაღაზიები, საყიდლები, ქვეყნები, დედაქალაქი, ღირსშესანიშნაობები, დღესასწაულები, ზეიმები, სანახაობები, ბუნება/ბუნების მოვლენები და სხვ.

**აქტივობათა ნიმუშები:**

- ტექსტის თემატიკის დადგენა ტექსტიდან წინადადებების ან ფრაგმენტის მოსმენის შედეგად;
- მოსმენილი ტექსტის დასაწყისის შესაბამისად ამბის დასრულება, აუდიოჩანაწერთან შედარება;
- მოსმენილი დიალოგის მიხედვით ცხრილის შევსება: ვინ/სად/როდის, რატომ? და ა.შ.;
- მოსმენილ დიალოგში მოსაუბრეთა რეპლიკების/ინტონაციის მიხედვით მათი გრძნობების ამოცნობა (მაგ., მოწყენილი, შეშინებული, გაბრაზებული);
- მოსმენილი ტექსტის მიხედვით დედაქალაქებისა და ღირსშესანიშნაობების ერთმანეთთან დაკავშირება;
- მოსმენილი ამინდის პროგნოზის მიხედვით ატმოსფერული მოვლენებისა და ტემპერატურის ამსახველი ინფორმაციის, გეოგრაფიული მხარეების შესაბამისი მონაცემების ჩანიშვნა (მაგ., ჩრდილოეთში მისაღწევია. . .);
- რადიოგადაცემაში მონაწილე პირების (ინტერვიუს რესპონდენტის ან მთავარი გმირის) მონაცემების ანკეტაში შეტანა და სხვ.
- სიმულაციური სიტუაციების გათამაშება, მაგ., მაღაზიაში, კინოში, მგზავრის დაკვალაინება და ა.შ.;
- მინიინტერვიუების ჩამორთმევა თანაკლასელებისთვის ნაცნობი თემების გარშემო (მაგ., მოგზაურობა, საყვარელი ქალაქი, ექსკურსიის შთაბეჭდილებები, გართობა და სხვა);
- საკვანძო სიტყვებისა და ნაცნობი ლექსიკურ-გრამატიკული ერთეულების გამოყენებით შინაარსის გადმოცემა ან ილუსტრაციის აღწერა;
- მოსმენილი ტექსტის/ნაწყვეტის დასასრულის მოფიქრება და მოყოლა;

- ნანახი სპექტაკლის, ფილმის სიუჟეტის გადმოცემა;
- ორი მოსმენილი ამბის მსგავსება-განსხვავებაზე საუბარი;
- ილუსტრაციების ფორმით მოცემული დროშების, ღირსშესანიშნაობების, სუვენირების, ეროვნული სიმბოლიკის, ფულადი ერთეულის გამოსახულების დაჯგუფება, შედარება და მსგავსება-განსხვავებების პოვნა და სხვ.

<b>მიმართულება 2. წერითი მეტყველება (კითხვა და წერა)</b>	
<b>მისაღწევი შედეგები:</b>	<b>VI კლასის შეფასების ინდიკატორები:</b>
<b>Iუცხ.დაწყ.(II).5.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს გაწაფული კითხვა.	<b>მოსწავლე:</b> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ თავისუფლად კითხულობს ნაცნობ სიტყვებსა და ფრაზებს;</li> <li>➤ შესაბამისი ინტონაციითა და პაუზების გამოყოფით გამართულად კითხულობს მცირე ზომის ნაცნობ ტექსტებს;</li> <li>➤ ტექსტის შინაარსს ადეკვატურად უსადაგებს არავერბალურ მეტყველებას.</li> </ul>
<b>Iუცხ.დაწყ.(II).6.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული ტექსტების წაკითხვა და გაგება.	<b>მოსწავლე:</b> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ამოიცნობს ტექსტის საკომუნიკაციო სიტუაციას (ავტორი, ადრესატი, თემა, მიზანი);</li> <li>➤ საკითხავი ამოცანების შესაბამისად ტექსტში პოულობს კონკრეტულ ინფორმაციას;</li> <li>➤ ამოიცნობს მოვლენათა და მოქმედებათა თანამიმდევრობას; მათ შორის მიზეზშედეგობრივ კავშირებს;</li> <li>➤ ამოიცნობს პერსონაჟების ემოციებსა და განწყობებს, მათი ქცევის მოტივებს (მაგ., რატომ არის მოწყენილი; რატომ მოიქცა ასე და ა.შ.);</li> <li>➤ განარჩევს ტექსტში ავტორისა და პერსონაჟების სიტყვებს;</li> <li>➤ გამოყოფს სიუჟეტის განვითარების საფეხურებს.</li> </ul>
<b>Iუცხ.დაწყ.(II).7.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა ტიპის მარტივი ტექსტის სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა.	<b>მოსწავლე:</b> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ამოიცნობს სხვადასხვა ტიპის მარტივი ტექსტის სტრუქტურულ მახასიათებლებს;</li> <li>➤ ერთმანეთს ადარებს სხვადასხვა სახის ტექსტს კომპოზიციური აგებულების მიხედვით (მაგ., კატალოგსა და შემეცნებით ტექსტს), ასახელებს განსხვავებებს, მსგავსებებს;</li> <li>➤ ამოიცნობს საკომუნიკაციო სიტუაციის შესატყვის გამოთქმებს, კლიშეებს, ენობრივ კონსტრუქციებს (მაგ., წახალისების, შეთავაზების, კეთილი სურვილების და სხვა);</li> <li>➤ ამოიცნობს სინტაქსურ მიმართებებს მარტივი წინადადებების წევრებს შორის, ზმნის ახლანდელი, წარსული და მომავალი დროის გამომხატველ ფორმებს, ადგილმდებარეობისა და დროის გამომხატველ მარტივ ენობრივ საშუალებებს (ზმნიზედას, წინდებულს).</li> </ul>

<p><b>იუცხ.დაწყ.(II).8.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ნიმუშის მიხედვით მცირე ზომის ტექსტის დაწერა.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ თანამიმდევრობით გადმოსცემს ფაქტებს, მოვლენებს;</li> <li>➤ აღწერს / ახასიათებს ადამიანებს, ცხოველებს, საგნებს;</li> <li>➤ აზუსტებს საჭირო დეტალებს;</li> <li>➤ გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებებს, გრძნობებსა და სურვილებს.</li> </ul>
<p><b>იუცხ.დაწყ.(II).9.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს წერილობითი ტექსტის სტრუქტურის დაცვა და ელემენტარული ენობრივი უნარ-ჩვევების გამოყენება.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ იყენებს საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამის ფორმულებს;</li> <li>➤ იცავს წერილობითი ტექსტის სტრუქტურას, გამომუშავებული აქვს ელემენტარული ენობრივი უნარ-ჩვევები და იყენებს მათ.</li> <li>➤ იყენებს ადგილმდებარეობის გამომხატველ მარტივ ენობრივ საშუალებებს (მაგ., წინდებული, ზმნიზედა),</li> <li>➤ იცავს ელემენტარულ სინტაქსურ მიმართებებს წინადადების წევრებს შორის (მაგ., ქვემდებარისა და შემასმენლის შეთანხმება პირსა და რიცხვში);</li> <li>➤ იცავს სიტყვათა წყობას მტკიცებითი, უარყოფითი და კითხვითი შინაარსის შემცველ წინადადებებში (მაგ., ქვემდებარე, შემასმენელი, დამატება);</li> <li>➤ იცავს ორთოგრაფიის წესებს, სწორად იყენებს სასვენ ნიშნებს.</li> </ul>
<p><b>იუცხ.დაწყ.(II).10.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს წერილი მეტყველების ამოცანების შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ სათაურზე, ილუსტრაციებზე დაყრდნობით მშობლიურ ენაზე გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის შინაარსის შესახებ;</li> <li>➤ ნაცნობ ელემენტებზე დაყრდნობით (მაგ., კონტექსტი, ილუსტრაცია, ნაცნობი ასოები) დამოუკიდებლად ამოიცნობს უცნობი სიტყვების, წინადადებების მნიშვნელობას;</li> <li>➤ მთლიან ტექსტზე დაკვირვებით, სიტყვიერი და არასიტყვიერი მორგანიზებული ელემენტების დახმარებით (სათაური, რუბრიკა, ილუსტრაცია, წარწერა, აბზაცი, სვეტი, ლოგო, ტიპოგრაფიული მახასიათებლები /მაგ., მსხვილი შრიფტი/ და სხვ.) მოიძიებს კონკრეტულ ინფორმაციას;</li> <li>➤ მშობლიურ ენაზე აღწერს, რა გზით მოახერხა ამა თუ იმ საკითხავი დავალების შესრულება; ეცნობა და იყენებს სხვების მიერ შერჩეულ ხერხს და გამოაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რომელი მიდგომა იყო მისთვის უფრო ეფექტური და რატომ.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები</b></p>	

**აქტივობები შესაძლებელია დაეფუძნოს შემდეგი ტიპის ტექსტებს:**

- ა) პრაგმატული ტექსტები: თამაშის წესები, საჯარო წარწერა, სამარშრუტო გეგმა, კატალოგი, საბავშვო ტელეპროგრამა, მისალოცი ბარათი, გზავნილი (შეტყობინება), ანკეტა პირადი მონაცემებით და სხვა;
- ბ) დიდაქტიზებული ტექსტები: დიალოგი, მარტივი თხრობითი ან აღწერითი ტექსტები;
- გ) საინფორმაციო, მცირე ზომის შემეცნებითი ტექსტები;
- დ) ადაპტირებული კომიქსები, რეკლამები, აუდიო-ვიდეო მასალა საპროგრამო თემატიკაზე.

**აქტივობათა ნიმუშები:**

- კონკურსი ხმამაღლა კითხვაში - მონოლოგის, დიალოგის, ტექსტის, კომიქსის მეწყვილესთან ერთად როლებში წაკითხვა (ინდივიდუალურად, თანაკლასელებთან, გუნდის წევრებთან ერთად);
- ტექსტის სათაურის წაკითხვა და ილუსტრაციებზე დაკვირვებით მისი შინაარსის შესახებ აზრის გამოთქმა;
- ტექსტის ფრაგმენტის მოსმენა და საკითხავ ტექსტში მისი პოვნა;
- წაკითხული ტექსტის გეგმის შედგენა;
- ფილმების/მულტიპლიკაციური ფილმების ანოტაციის წაკითხვის შედეგად მათი აფიშების ამოცნობა;
- თამაშის წესების შესაბამისი დავალებების განაწილება;
- ილუსტრაციების მიხედვით ინსტრუქციის (თამაშის წესის) თანმიმდევრობის აღდგენა;
- თემატური სასწავლო დამხმარე რესურსების (მაგ., სამარშრუტო გეგმის დასურათებული პოსტერი) დამზადებისთვის საჭირო ინსტრუქციის შედგენა: საჭირო იარაღები, მასალა, მოქმედებები და ა.შ.;
- ტექსტზე მუშაობა: ა) ტექსტის აზრაცებად დაყოფა; ბ) აზრაცების ილუსტრაციებთან დაკავშირება; გ) ილუსტრაციების დანომვრა; დ) ილუსტრაციებისთვის წარწერების მისადაგება;
- ტექსტში სასვენი ნიშნების დასმა, იმ ხმოვნების/თანხმოვნების გახაზვა/მონიშნვა, რომლებიც არ იკითხება;
- მეგობრისთვის დაბადების დღის მილოცვა ღია ბარათით, მისი კომპოზიციის დეტალების ზუსტად განსაზღვრა და შესაბამისი მიმართვის ფორმების შერჩევა;
- ღია ბარათში მიმართვისა და მისალმება-გამომშვიდობების ფორმების შესწორება სხვადასხვა ადრესატის გათვალისწინებით (თანატოლი, უფროსი ადამიანი);
- გატარებული არდადეგების შესახებ თანატოლისთვის წერილის მიწერა შესაბამისი ტექსტის სახეობისთვის ტიპობრივი ფორმალობების მაქსიმალური დაცვით;
- შეცდომებით მოცემული წერილის შესწორება;
- ტექსტის/ამბის დასრულება ილუსტრაციებზე დაყრდნობით;
- დღის განრიგის, გაკვეთილების ცხრილის, საჯარო წარწერების, სავიზიტო ბარათის, სკოლის ნივთების კატალოგის, ტელეპროგრამის შედგენა ნიმუშის მიხედვით;
- საკუთარი ჰობის, ინტერესების შესახებ ნიმუშის მიხედვით ტექსტის შედგენა;
- სახელმძღვანელოში მოცემული პერსონაჟის აღწერის მიხედვით საყვარელი პერსონაჟის, სპორტსმენის, მსახიობის, მომღერლის და ა.შ. აღწერა; მისი ფოტოს/სურათის მოძიება და წარმოდგენა;
- ამბის მოფიქრება და მის მიხედვით რამდენიმე ილუსტრაციისგან შედგენილი კომიქსის შექმნა: ა) კომიქსის ილუსტრაციებისთვის ტექსტის მიწერა; ბ) კომიქსის ტექსტისა და ილუსტრაციების შედგენა და სხვ.



**მიმართულება 3. ინტერკულტურა**

მისაღწევი შედეგები	VI კლასის შეფასების ინდიკატორები
<p><b>Iუცხ.დაწყ.(II).11.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ნასწავლი სოციოკულტურული კონტექსტების ერთმანეთთან შედარება, პარალელების გავლება უცხო და მშობლიური კულტურის ფენომენებს შორის.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ მოსწავლე იჩენს ინტერესს კულტურული განსხვავებების მიმართ;</li> <li>➤ ავლებს პარალელებს უცხო და მშობლიურ კულტურულ და სოციოკულტურულ კონტექსტებს შორის და პოულობს მსგავსება-განსხვავებებს (მაგ., სახელმწიფო სიმბოლოები, ეროვნული ვალუტა, ტრადიციული ჩაცმულობა, სუვენირები, ლეგენდა და სხვა);</li> <li>➤ გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებებს, დამოკიდებულებებს მსგავსებებისა და განსხვავებების შესახებ;</li> <li>➤ მოიძიებს დამატებით ცნობებს;</li> <li>➤ პოულობს ნასწავლი ანდაზის ანალოგიურს მშობლიურ ენაში და ადარებს შინაარსის გამოხატვის თავისებურებებს.</li> </ul>
<p><b>Iუცხ.დაწყ.(II).12.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს თანატოლებთან და მასწავლებელთან ერთად სხვადასხვა ტიპის პროექტის დაგეგმვა და განხორციელება.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ მასწავლებელთან, გუნდის წევრებთან ერთად აყალიბებს პროექტის წარმატებით განხორციელების კრიტერიუმებს, გეგმავს პროექტის განხორციელების ეტაპებს;</li> <li>➤ ასრულებს მისთვის მიკუთვნებულ ფუნქციას, რომლის განსაზღვრა-განაწილებაში მონაწილეობს გუნდის ყველა წევრი მასწავლებლის დახმარებით;</li> <li>➤ მასწავლებლის, მშობლის ან სხვა პირის დახმარებით მოიძიებს სათანადო რესურსებს;</li> <li>➤ გუნდის წევრებთან ერთად მასწავლებლის დახმარებით შეარჩევს, დაამუშავებს მოძიებულ მასალას, აუმჯობესებს და ასრულებს პროექტს.</li> </ul>

**რეკომენდაციები**

**საპროექტო იდეები**

მცირე ზომის საინფორმაციო ბუკლეტის შედგენა ცხოველებზე, წელიწადის დროებზე; საყვარელი კერძების წიგნის შედგენა; უცნობი ადამიანის სურათის მიხედვით მისი პროფილის შედგენა (გვარ-სახელი, საქმიანობა, საცხოვრებელი ადგილი, საყვარელი საქმიანობა და სხვ.); სხვადასხვა თემაზე ელექტრონული ცნობარის შედგენა (მაგ., უცხოენოვანი ქვეყნების დღესასწაულები და ზეიმები; ფულის ერთეულები და სხვ.); საცხოვრებელი ქუჩის/სკოლის მიმდებარე ადგილის გეგმის შედგენა და პრეზენტაცია და სხვ.

**მიმართულება 4. სწავლის სწავლა**

მისაღწევი შედეგები	VI კლასის შეფასების ინდიკატორები
--------------------	----------------------------------

<p><b>Iუცხ.დაწყ.(II).13.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს სასწავლო საქმიანობის მართვა, სწავლის პროცესზე დაფიქრება, საკუთარი წინსვლის ხელშეწყობა და სწავლის პროცესის წარმართვასა და გაუმჯობესებაში აქტიურად მონაწილეობა.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ გეგმავს საკუთარ საქმიანობას; მონაწილეობს სწავლის პროცესის შეფასებაში, ავსებს ასაკის შესაბამის თვითშეფასების სქემებს, აკვირდება შეფასების შედეგებს, გაიაზრებს და ასახელებს წინსვლისა და ჩამორჩენის მიზეზებს;</li> <li>➤ ქმნის პირად პორტფოლიოს საკუთარი წინსვლის ამსახველი მასალებისთვის (შეფასების სქემები, ვიდეო/აუდიო ჩანაწერები, პროექტის მასალები, წერიტი ნამუშევრები);</li> <li>➤ ცდილობს დამოუკიდებლად გადალახოს სიძნელეები, აცნობიერებს და ასახელებს წინსვლისთვის ხელისშემშლელ მიზეზებს, მიუთითებს მათი გამოსწორების შესაძლო გზებს (მაგ. რომელი ხერხი გამოიყენოს გრამატიკულ მოვლენებში გასარკვევად, სხვადასხვა ენობრივი მექანიზმების ამოსაცნობად).</li> </ul>
<p><b>Iუცხ.დაწყ.(II).14.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სტრატეგიებისა და სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო რესურსების (ბეჭდვითი და მულტიმედიური რესურსების, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ)) გააზრებულად გამოყენება.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ იყენებს სხვადასხვა ხერხს ლექსიკური მასალის ასათვისებლად (მაგ., რამდენჯერმე წაკითხვა ან დაწერა, ასოცირება რაიმესთან, კონტექსტში გამოყენება, ერთი თემატიკის მიხედვით დაჯგუფება და სხვა);</li> <li>➤ სისტემატურად იმეორებს განვლილ ლექსიკურ მასალას; ამოკრებს რთულად ათვისებულ ლექსიკურ ერთეულებს და ამუშავებს მათ;</li> <li>➤ იყენებს სხვადასხვა სტრატეგიას გრამატიკულ მოვლენებში გასარკვევად: კონკრეტულ მაგალითებზე დაკვირვებით ამოიცნობს და იყენებს ენობრივ მექანიზმებს; ადარებს ერთმანეთს უცხოური და მშობლიური ენების გრამატიკულ მოვლენებს; იყენებს სქემებს, ტაბულებს, კლასიფიკაციებს, სტრუქტურულ მოდელებს;</li> <li>➤ ქმნის ოპერატიულ რესურსებს (მაგ., ანბანურ/თემატურ ლექსიკონს, პლაკატს, მარტივ სქემას, კითხვარს და სხვ) და იყენებს მათ.</li> </ul>